ხელშეკრულება

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. ბათუმი 04 ოქტომბერი 2013 წ

ჩვენ, ერთის მხრივ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სარაგბო კლუბი ბათუმი“, შემდგომში წოდებული, როგორც შემსყიდველი, წარმოდგენილი მისი დირექტორის რუსლან რუსიძის სახით და მეორეს მხრივ შპს „ მირ ტური“ წარმოდგენილი მისი დირექტორის ბატონი ბეჯან გორგაძის სახით, შემდგომში წოდებული, როგორც მიმწოდებელი, ორივე ერთად წოდებული მხარეებად, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოს კანონით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

მუხლი 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულებასახელმწიფო შესწიდვის შესახებ“(შემდგომში ხელშეკრულება)- შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული შეთანხმება, რომელიც მოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით, რომელზეც ამ ხელშეკრულებაში არის მინიშნებული

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“- საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაუხადოს შემსყიდველმა მომწოდებელს ამ უკანასკნელის მხრიდან ვალდებულებების სრულად და ზედმიწევნით შესრულების შემდეგ

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“- კალენდარული დღე, კვირა, თვე თუ ამ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

1.4. „შემსყიდველი“- შპს „სარაგბო კლუბი ბათუმი“

1.5. „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში

1.6. „მომსახურება“- ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი

მუხლი 2 ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს „მიმწოდებლის“ მიერ სატრანსპორტო მომსახურეობის გაწევა კერძოდ „შემსყიდველის“ გადაყვანა ავტობუსით ქალაქ თბილისში და უკან დაბრუნება.

მუხლი 3 ხელშეკრულების ღირებულება

ხელშეკრულების ღირებულება სულ წარმოადგენს 1800 (ათასრვაასი) ლარს. საგადასახადო დოკუმენტაციის შედგენას უზრუნველყოფს შემსწიდველი, ამასთან ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი,რომელთა გადახდაზე [illegible] „შემსყიდველი“

მუხლი 4 მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

4.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია

ა) განახორციელოს ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების მიწოდება. კერძოდ განახორციელოს „შემსყიდველის“ სარაგბო გუნდის ტრანსპორტირება ქალაქ თბილისში და უკან.

ბ) პასუხს აგებს უხარისხო მომსახურეობის გაწევისათვის

გ) განიხილოს „შემსყიდველის“ პრეტენზიები და დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები მისი აღმოფხვრის მიზნით

დ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი სხვა ვალდებულებების შესრულება

4.2. „შემსყიდველის“ უფლება-მოვალეობანი

ა) უფლება აქვს უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

ბ) ვალდებულია გადაუხადოს“მიმწოდებელს“ ხელშეკრულებაში განსაზღვრული საზღაური ხელშეკრულებაში განსაზღვრული პირობების შესაბამისად

გ) „მიმწოდებელს “ წინასწარ გააცნოს ყველა იმ გარემოების შესახებ , რომელიც შეიძლება წარმოიშვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობის მიწოდებისას

დ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები

მუხლი 5 ანგარიშსწორების წესი

5.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი წესით

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო. „მიმწოდებლის“ საბანკო რეკვიზიტებისშესაბამისად

მუხლი 6 ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

6.1. თუ ხელშეკრულების შესრულების მომენტში წარმოიშობა გარემოებები, რომლებიც ხელს უშლის რომელიმე მხარეს განახორციელოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებასთან დაკავშირებით.

6.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

მუხლი 7 დავების გადაწყვეტის წესი

7.1. ხელშეკრულების შესრულებასთან ან განმარტებასთან დაკავშირებული უთანხმოება გადაწყდება მხარეთა შორის ურთიერთმოლაპარაკების გზით.

7.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა განიხილება საქართველოს სასამართლოების მიერ სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 8 ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. თითოეული მხარე უფლებაამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების კეთილსინდისიერად შესრულებას.

მუხლი 9 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან

9.2. ტრანსპორტირების ვადათ განსაზღვრულია 2013 წლის 05-06 ოქტომბერი

მუხლი 10 დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ნაკისრი ვალდებულებების შესრულებიდან სტიქიური უბედურების, მიწისძვრის, ბუნებრივი კატაკლიზმების ან საომარი და საგანგებო მდგომარეობის შემთხვევაში. ასევე ყველა იმ შემთხვევაში, რომელსაც მოქმედი კანონმდებლობა მიიჩნევს დაუძლეველ ძალად.

მუხლი 11 სხვა პირობები

11.1. ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორიგინალურ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა „მიმწოდებელს“, ხოლო დანარჩენი ინახება „შემსყიდველთან“

11.2. მხარეთა რეკვიზიტები

ა) „შემსყიდველი“

შპს სარაჯიშვილი კლუბი ბათუმი

ქ. ბათუმი ლუკა ასათიანის ქ.# 25

სს საქართველოს ბანკი

ბანკის კოდი BAGAGE 22

ა/ბ GE 60BG 0000000284875600

ბ) შპს „მირ ტური“

პროკრედიტ ბანკი

სს 245630107

ა/ბ GE31PC0373600100004258

შპს „სარაჯიშვილი კლუბი ბათუმი“-ს
დირექტორი რუსლან რუსიძე

შპს „[illegible]“
დირექტორი [illegible] ბესიკ [illegible]ძე